გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გაზეთი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(295) 2023 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 1 ლარი

სწავლა დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარესთან - ალექსი ბილაშვილთან და რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ლელა ფანოზიშვილთან ერთად ქ. საგარეჯოს №4 , სოფელ გიორგიწმინდისა და დუზაგრამის საჯარო სკოლებს ესტუმრა და მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

„მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლეს და სრულიად საქართველოს მომავალ თაობას!

მე ვისურვებდი, რომ ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი ეტაპი - წარმატებით გაგეელოთ, ყველა სიძნელე გადაგელახოთ და საამაყო და ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდილიყავით!

სიხარულით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საგარეჯოს 4 საჯარო სკოლას დაარსებიდან 45 საიუბილეო წელი შეუსრულდა. დღეს, აქ, ამ კედლებში სკოლის ის პირველი გამოშვება მოსწავლეები არიან სკოლის საპატიო სტუმრები და ამ პატარებს საკლასო ოთახებამდე ერთად მივაცილებთ .

მომავალი თქვენია, თქვენშია თავისუფლება და იმედი!

მე მჯერა და მწამს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში 15 სექტემბერს- წარმატების და სიკეთის ზარი გაიჟღერებს! ზარი, რომელიც იქნება დასაწყისი კიდევ ერთი ლამაზი და ბედნიერი სასწავლო წლის!

წელს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით,რამდენიმე საჯარო სკოლის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყო, მოხარული ვარ და ბედნიერი, რომ ამის შესაძლებლობა მომეცა. მე და ჩემი გუნდი კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას, შესაბამისი პირობები შევუქმნათ ჩვენს მოსწავლეებს!

გილოცავთ კიდევ ერთხელ და გისურვებთ წარმატებას!

განათლებული მომავალი ჩვენი სიამაყეა“- განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა

მევენახეთა დასახმარებლად

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი:

„სახელმწიფო ჩაიბარებს 90 თეთრად დასეტყვილ და დაზიანებულ ყურძენს!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ფერმერებს დასეტყვილი, დაზიანებული თუ ჩვეულებრივი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩებათ. ასე გამოეხმაურა ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის სხდომაზე, კახეთში, 6 სექტემბერს სეტყვის შედეგად დაზარალებულ მევენახეთა საკითხს.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფო რთველის სუბსიდირების პროგრამას აგრძელებს და 1 კგ ყურძენს 90 თეთრად ჩაიბარებს.

„ჩვენ რამდენიმე კვირის წინ შევიკრიბეთ. ჯერ კიდევ მაშინ განვაცხადეთ, რომ სუბსიდიას შევინარჩუნებდით და დაზიანებულ ყურძენს სახელმწიფო 90 თეთრად ჩაიბარებდა. ახლა იცით, რომ კახეთში რამდენიმე დღის წინ ძლიერი სეტყვა მოვიდა, დაისეტყვა ვენახები, ხალხს ყურძენი ჩასაბარებლად ჰქონდა გამზადებული და სამწუხაროდ, სეტყვა მოვიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მინდა მკაფიოდ განვაცხადო და დავამშვიდო ჩვენი მოქალაქეები, რომ არც ერთი კილოგრამი დაზიანებული, დასეტყვილი თუ ჩვეულებრივი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება. სახელმწიფო ყურძენს 90 თეთრად ჩაიბარებს, მათ შორის დასეტყვილ ყურძენს“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მევენახეობა-მეღვინეობაში გასულ 10 წელთან შედარებით გაუმჯობესებულ მაჩვენებლებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 10 წლის წინ ქვეყანაში 40 ღვინის კომპანია არსებობდა და დღეს კი 2500-ია, ასევე ვენახების ფართობები 10 წლის წინ მთლიანად შეადგენდა 25 000 ჰექტარს, ხოლო 10 წელიწადში ვენახების ფართობები გაორმაგდა.

„შარშან 270 მილიონი ლარი მიიღო კახეთმა შემოსავლის სახით, მხოლოდ მევენახეებმა და ადამიანებმა, რომლებიც ამ სფეროში არიან ჩართულნი. შედარებისთვის, თუ ამას ავიღებთ, რა ხდებოდა 2012 წელს - მაშინ შემოსავალი იყო 35-40 მილიონი ლარი, *მაქსიმუმ. ჯამში, 10 წელიწადში, 2 მილიარდ ლარზე მეტი მიიღეს შემოსავლები კახეთის მევენახეებმა და ფერმერებმა. ეს რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სხვაობაა. ჩვენ თუ ამას შევადარებთ, ჩვენმა მევენახეებმა მიიღეს 2 მილიარდი კახეთში და მანამდე, წინა ხელისუფლების დროს შეიძლება ჯამურად 200 მილიონ ლარზე მეტი არ ყოფილიყო 10 წელიწადში მათი მმართველობის დროს შემოსავალი. რაც რა თქმა უნდა, ჩანს, რომ 10-ჯერ მეტი სხვაობა არის ჩვენ დროს და ეს შემთხვევით არ მომხდარა. ეს არის ჩვენს მიერ სწორად დაგეგმილი და გააზრებული პოლიტიკა, დახმარებები, სუბსიდია. უამრავი პროგრამა, რომელიც მუშაობს დღემდე.*

ასევე მინდა შევახსენო ჩვენს საზოგადოებას, მინდა მოვუწოდო ჩვენს მევენახეებს, აუცილებელია აგრო დაზღვევის პროგრამაში ჩართულობა. ჩვენ შარშან გვქონდა თუ არ ვცდები, 50%-იანი თანადაფინანსება და ჩვენ ეს გავზარდეთ 70%-მდე. ანუ 70% არის ჩვენი თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან. რა თქმა უნდა, ეს არის აუცილებელი გასაკეთებელი.

ასევე ერთ მონაცემს მოგახსენებთ - შარშან რეკორდული რაოდენობის, - 103 მილიონი ლიტრი ღვინო გაიყიდა. აქედან, ქვეყანაში ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალი შემოვიდა. ჩვენს მოქალაქეებს მეტი განვითარების, მეტი გამდიდრების საშუალება ეძლევა. ასევე, შედარებისთვის მინდა აღვნიშნო, 10 წლის წინ დაახლოებით 20-30 მილიონი ლიტრი იყიდებოდა. ეს არის რეალობა,ჩვენ ამ პოლიტიკას შევინარჩუნებთ,გავაძლიერებთ, კიდევ მეტ დახმარებას გამოვუყოფთ ჩვენს მევენახეებს, ფერმერებს.

საგარეჯოს ნაქინის ფესტივალი 2023

ყველაზე ფერადი და დაუვიწყარი დღე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2023 წლის 25 აგვისტო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგვისტოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილი უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ბუღალტერიის განყოფილების უფროსმა*** **მარინა თედიაშვილმა.** როგორც მან თქვა:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 56369,930 ლარით, ანუ დამტკიცებულ 26827,900 ლართან შედარებით 29542,030 ლარით (110 %) გაიზარდა.

ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 7396,703 ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით დაემატა სულ 5473,633 ლარი, კერძოდ, დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები: ახალი გზების მშენებლობა 2634,220 ლარით, ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია 2516,912 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 322,501 ლარით; „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით 668,000 ლარი; 23 იანვრის №147 განკარგულებით მიზნობრივი ტრანსფერი 517,563 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის; 9 თებერვლის №301 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან სულ 737,507 ლარი, მათ შორის დაფინანსდა,:წყლის სისტემების რეაბილიტაცია 251,153 ლარით, სპორტული ობიექტების აღჭურვა-რეაბილიტაცია-მშენებლობა 486,354 ლარით; საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის №545 განკარგულებით „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 570 000 ლარი. წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ 21575,327 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 2629,435 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 18945,892 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 21577,540 ლარს, მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით – 24803,049 ლარს.

2023 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 130 %–ით (გეგმა 19013,114 ლარი, ფაქტი 24729,824 ლარი).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება ასეთია: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა სულ 2943,445 ლარი, გეგმის 3587,054 ლარის 82 %; მათ შორის საკრებულოს 665,636 ლარი, გეგმის 705,345 ლარის 94 %; მერიის 2136,151 ლარი გეგმის – 2614,606 ლარის 82 %; სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 104,183 ლარი გეგმის 120,600 ლარის 86 %; მგფ-ს და სხვა დავალიანებების დაფარვა 37,475 ლარი გეგმის – 43,900 ლარის 85 %;

ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა შეადგინა სულ 9823,266 ლარი, გეგმის – 14805,957 ლარის 66 %, მათ შორის:

1) **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** 4160,658 ლარი გეგმის – 7678,517 ლარის 54 %, აქედან გზების მიმდინარე შეკეთება 1518,355 ლარი გეგმის 1535,374 ლარის 99 %; შ.პ.ს. „საგარეჯო“ 209,105 ლარი, გეგმის 235,355 ლარის 89 %; ახალი გზების მშენებლობა 2430,456 ლარი, გეგმის 5843,287 ლარის 42 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 2,741 ლარი გეგმის 64,500 ლარის 4 %;

2) ***წყლის სისტემების განვითარება*** – 1683,156 ლარი, გეგმის – 2087,143 ლარის 81 %; აქედან, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 1368,031 ლარი გეგმის 1700,443 ლარის 80 %; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია - ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ 315,125 ლარი გეგმის – 386,700 ლარის 81 %;

3) ***გარე განათება*** 894,612 ლარი, გეგმის – 982,491 ლარის 91 %, მათ შორის: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 820,636 ლარი, გეგმის – 852,847 ლარის 96 %, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 73,975 ლარი, გეგმის – 129,844 ლარის 57 %;

4)***ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია*** 1878,913 ლარი, გეგმის – 2360,877 ლარის 80 %;

5)***კეთილმოწყობა*** – 553,195 ლარი გეგმის – 692,677 ლარის 80 %, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი;

6) ***სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია*** და ექსპლოატაცია 294,644 ლარი, გეგმის – 302,912 ლარის 97 %;

7) ***სარიტუალო ღონისძიებები*** – 67,074 ლარი, გეგმის – 70,010 ლარის 96 %, ეს არის სასაფლაოების მოვლა და შემოღობვის ხარჯი;

8) „***სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“*** – 291,014 ლარი, გეგმის – 631,331 ლარის 48 %; დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯებმა შეადგინა 1780,367 ლარი გეგმის 2508,024 ლარის 71 %; **მათ შორის:**

1) ***დასუფთავება და ნარჩენების გატანა*** – 582,429 ლარი, გეგმის – 679,483 ლარის 86 %;

2) ***შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018"*** – 852,487 ლარი, გეგმის – 953,240 ლარის 89 %;

3) ***მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება*** – 345,451 ლარი, გეგმის – 875,301 ლარის 39 %;

განათლების ხარჯები დაფინანსებულია 3086,809 ლარით, გეგმის 3987,450 ლარის, 77 %–ით; ***მათ შორის:*** 1) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება-ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ 1980,414 ლარით გეგმის 2254,824 ლარის 88 %;

2) ***სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა*** 659,885 ლარით, გეგმის 1083,221 ლარის 61 %;

3) ***ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“*** ხარჯებმა შეადგინა 82,457 ლარი, გეგმის – 100,200 ლარის 82 %;

4) ***სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში*** 41,348 ლარი, გეგმის – 60,000 ლარის 69 %;

5) ***საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა*** – 322,704 ლარი, გეგმის – 489,205 ლარის 66 %;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინასებულია 2704,117 ლარით, გეგმის – 3549,015 ლარის 76 %, აქედან,

1) ***სპორტის განვითარების ხელშეწყობა*** დაფინანსდა 1616,231 ლარით, გეგმის – 2226,481 ლარის 73 %, მათ შორის: ა(ა)იპ "***საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა“*** 24,650 ლარით გეგმის 36,400 ლარის 68 %; ა(ა)იპ ***„აგარეჯოს სპორტული გაერთიანება“*** 390,656 ლარით გეგმის 446,900 ლარის 87 %; ა(ა)იპ ***რაგბის კლუბი“ვეფხვები“*** 317,506 ლარით გეგმის 330,500 ლარის 96 %; შ.პ.ს. ***საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“*** 150,246 ლარით გეგმის 200,000 ლარის 75 %; ***სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა*** 102,002 ლარი გეგმის 103,332 ლარი 99 %; ***სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** 631,171 ლარი, გეგმის – 1109,349 ლარის 57 %;

2)***კულტურის სფეროს განვითარება*** დაფინანსდა 1017,450 ლარით, გეგმის – 1235,562 ლარის 82 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ ***„საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“*** 121,596 ლარი გეგმის – 138,900 ლარის 88 %; ა(ა)იპ ***კულტურის ობიექტების გაერთიანება*** 456,728 ლარი გეგმის 539,250 ლარის 85 %; ***კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** 253,372 ლარი, გეგმის – 359,084 ლარის 71 %; ***კულტურული ღონისძიებები,*** 185,754 ლარი, გეგმის – 198,328 ლარის 94 %;

3)***ახალგაზრდობის მხარდაჭერა*** 48,641 ლარი გეგმის 64,672 ლარის 75 %;

4) ***საგამომცემლო საქმიანობა*** 21,795 ლარი გეგმის 22,300 ლარის 98 %.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 1166,313 ლარი გეგმის 1410,812 ლარის 83 %, აქედან, ***ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა*** 274,377 ლარით გეგმის 412,873 ლარის 66 %; მათ შორის:

1) ***საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა*** დაფინანსდა 71,433 ლარით გეგმის 105,450 ლარის 68 %; 2) ***სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია*** დაფინანსდა 202,944 ლარით, გეგმის – 307,422 ლარის 66 %;

სოციალური დაცვა დაფინანსდა 891,936 ლარით, გეგმის 997,939 ლარის 89 %, მათ შორის: 1) პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 3,200 ლარით გეგმის 5,500 ლარის 58 %, დახმარება გაეწია 8 ოჯახს;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 54,900 ლარით გეგმის 100 %, დახმარება გაეწია 126 ოჯახს;

3) ბავშვთა კვების პროგრამა 5,217 ლარით გეგმის 10,000 ლარის 52 %, დახმარება გაეწია 15 ბავშვს;

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 8,100 ლარით გეგმის 10,000 ლარის 81 %, დახმარება გაეწია 24 ბავშვს;

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 21,750 ლარით გეგმის 24,900 ლარის 87 %, დახმარება გაეწია 90 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 28,305 ლარით გეგმის 33,700 ლარის 84 %, ფულადი დახმარება გაეწია 32 უსინათლო პირს, დაფინანსდა 1 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 2,700 ლარი გეგმის 6,000 ლარის 45 % (9 ბენეფიციარი);

8) რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა – 390 ლარი, გეგმის – 1,000 ლარის 39 %, (2 ბენეფიციარი);

9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – 227,705 ლარი, გეგმის – 231,553 ლარის 98 %(396 ბენეფიციარი);

10) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 112,618 ლარი გეგმის 118,100 ლარის 95 % (373 ბენეფიციარი);

11) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 74,499 ლარი გეგმის 85,000 ლარის 88 % (134 ბენეფიციარი);

12) ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 32,630 ლარი გეგმის – 100 %(42 ბენეფიაციარი);

13) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 20,480 ლარი გეგმის 28,000 ლარის 73 %(379 ბენეფიაციარი);

14) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 8,650 ლარი გეგმის 10,280 ლარის 84 % (87 ბენეფიციარი);

15) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 61,159 ლარი გეგმის 78,036 ლარის 78 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 250 მოქალაქეს, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 1200 ბენეფიციარს;

16) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 11,500 ლარი გეგმის 12,540 ლარის 92 %;

17) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 3,800 ლარი გეგმის 4,000 ლარის 95 % (13 ბენეფიციარი);

18) უპატრონო და სოც დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა 34,500 ლარი გეგმის 100 % (33 ბენეფიციარი);

19) სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 600 ლარი გეგმის 5,000 ლარის 12 %, გაიწმინდა ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 19-ზე მდებარე საერთო საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არსებული სამი საკანალიზაციო ჭა;

20) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 10,211 ლარი გეგმის 12,800 ლარის 80 % (19 ოჯახი);

21) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 148,519 ლარი გეგმის 172,300 ლარის 86 % (220 ბენეფიციარი);

22) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 2,500 ლარი გეგმის 5,000 ლარის 50 %, დახმარება გაეწია სამშობლოს დაცვისათვის ომში მონაწილე 4 ვეტერანს, აგრეთვე ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის 1 ვეტერანს;

23) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 10,104 ლარი გეგმის 10,700 ლარის 94 %;

24) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება 7,000 ლარი გეგმის 10,500 ლარის 67 % (7 ბენეფიციარი);

25) ***მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა*** – 900 ლარი გეგმის 100 %.

მიმდინარე წლის ორი კვარტლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 128,398 ლარი, მათ შორის: მმიმდინარე წლის. 20 იანვარს ქ. საგარეჯოში მომხდარი ტრაგედიის დამეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახების დასახმარებლად 20,000 ათასი ლარი, აგრეთვე, ***რთულ ვითარებაში*** გამოჩენილი მამაცობისთვის შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადების თანამშრომლების დასაჯილდოვებლად 4,500 ლარი, ***სოფელ გომბორში*** მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის საცხოვრებელი კონტეინერის შესაძენად 17,452 ლარი, ***სოფელ უჯარმაში*** მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის სახლის სახურავის შესაკეთებლად 20,677 ლარი, ხანძრის შედეგად დაზარალებული სოფელ ***მზისგულში*** მცხოვრები მოქალაქის საცხოვრებელი სახლის იატაკის მასალის შესაძენად 23.979 ლარი, სოფელ ***თოხლიაურში*** მცხოვრები მოქალაქე ზაქარია გორგიაშვილის სახლის აღდგენის მიზნით 34.457 ლარი, სოფელ ***კაკაბეთში*** სტიქიის შედეგად დაზიანებული, მოქალაქის საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენისათვის 7,333 ლარი

ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 784,841 ლარი, შესრულდა 86 %-ით ანუ 671,602 ლარით.

ინფრასტრუქტურა-2023

სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად

სოფელ უჯარმაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ახალი სათავე კვანძის დამონტაჟებისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

სოფელ მუხროვანში-კი სასმელი წყლის ჭაბურღილი და კოშკურა რეზერვუარები მოეწყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** და სოფლის წარმომადგენელ - **ზურა შინდელაშვილთან** ერთად შესრულებული სამუშაოები მოინახულა და სასმელი წყლის რესურსის და მიწოდების განრიგის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნო.

მემორიალის რეაბილიტაცია

სოფელ დიდ ჩაილურში, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული **გიორგი კირაკოზაშვილის** მემორიალის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, აღნიშნული პროექტის განხორციელება გარდაცვლილის ოჯახის წევრების მოსაზრებების გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა, პირველ მოადგილესთან ერთად, შუალედური მონიტორინგის მიზნით, სამუშაოები ადგილზე მოინახულა და არსებულ ვითარებას დეტალურად გაეცნო.

გზის მოასფალტების მეორე ეტაპი

სოფელ კაკაბეთში, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი დასკვნით ფაზაშია. პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 1 019 300 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილესთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე მოინახულა, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელს ესაუბრა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისკენ მოუწოდა.

„ჩვენი მიზანია, მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მოვაწესრიგოთ საგზაო ინფრასტრუქტურა. პრიორიტეტად დავსახეთ სოფლის ცენტრალური მონაკვეთები და შიდა საუბნო გზები, სადაც არასდროს არ ყოფილა ასფალტის საფარი. სოფელ კაკაბეთში, ეს გახლავთ ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბნის სასაფლაოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა და მისი განშტოება-შიდა საუბნო გზა. მოგეხსენებათ, რა რთულია ნალექიან ამინდში გადაადგილება. ამ სოფელში მთავარ პრიორიტეტად დავსახეთ აღნიშნული გზის მოასფალტება, თუმცა მხოლოდ ამ პროექტით არ შემოვიფარგლეთ, ასევე ავაშენეთ 80 აღსაზრდელზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის შენობა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღის ეზოს და მიხარია, რომ ახალი სასწავლო წლიდან კაკაბეთელები თანამედროვე სტანდარტების სააღმზრდელო დაწესებულებით ისარგებლებენ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. შესყიდვის პროცესშია ასევე ჯაფარიძისა და რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი. მაქსიმალურად ვცდილობთ, მოსახლეობას შევუქმნათ შესაბამისი პირობები. “ - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა**

დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და პრევენციისათვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და „ჯეო ჰოსპიტალს“-ის ერთობლივი ორგანიზებით, მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევის პროგრამა დაიწყო.

სოფელ უჯარმაში, ამბულატორიის შენობაში სადიაგნოსტიკო კვლევის მიმდინარეობას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი დაესწრო და სოფლის წარმომადგენელს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდა.

აქციის მიზანს წარმოადგენს, პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ყველა მოსახლისთვის უფასო სამედიცინო სერვისებით სარგებლობა.

„ჩემი მიზანია, რომ დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობას მივცეთ სამედიცინო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა.

მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ შედგა დღის წესრიგი და თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულში, მოქალაქეებს მიეწოდება შეხვედრების განრიგის შესახებ ინფორმაცია.

თავად ვუწევ მონიტორინგს აღნიშნულ აქციას, რათა ვიზრუნოთ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე”. - *აღნიშნა* **ავთანდილ გულიკაშვილმა**

სიახლეებით, სიკეთეებად!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ ყველას!

მიიწურა ზაფხული. ემოციებით დატვირთული, ზაფხულის მწველი მზით გარუჯული ჩვენი მომავალი თაობა – პირველკლასელები – გულისფანცქალით, გაფართოებული თვალებითა და დიდი ინტერესით შეაღებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის კარებებს, უფროსკლასელები – ბოლო სასწავლო წლის სკოლის კედლებში გამტარებლები სულ სხვანაირი ემოციებით მიუსხდებიან სასწავლო მერხებს.

რაც შეეხება პატარებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პატარა აღსაზრდელებს, მათ სულ სხვანაირი გარემო, საინტერესო სამყარო გადაეშლებათ თვალწინ – უფრო სახალისო, მიმზიდველი, გასართობი...

თუ რა სიახლეებია, როგორ ხვდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განათლების, სწავლა-აღზრდის სფერო ახალ, 2023-2024 სასწავლო წელს, გაზეთის ფურცლებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქ-ნი ნაილი ალექსაშვილი და საქართველოს მეცნიერების და განათლების საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დირექტორი ქ-ნი ლელა ფანოზიშვილი.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნაილი ალექსაშვილი:

– ქ-ნო ნაილი, მუნიციპალლიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დაწესებულებათა მენეჯერებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, მომავალი თაობის აღზრდაში მონაწილე ყველა თქვენს თანამშრომელს ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს ვუსურვებთ თავიანთ სამუშაო პოსტებზე. გვითხარით, რამდენი საბავშვო ბაღი ულებს კარს მუნიციპალიტეტის აღსზრდელებს ახალ სასწავლო წელს?

– მადლობა. მეც ვუერთდები თქვენს მილოცვას და ყველას ვულოცავ ახალ სასწავლო წლის დაწყებას და განსაკუთრებით მათ, ვინც წელს, 15 სექტემბერს პირველი კლასის სასწავლო მერხებს მიუჯდება პირველად, ვისთვისაც პირველად დაირეკება სკოლის ზარი. წელს ჩვენი გაერთიანების დაწესებულებებმა 478 აღზრდილს დაულოცა გზა სკოლისაკენ. წარმატებები მათ სწავლაში და მშვიდობიანი სასწავლო წელი

ახალ სასწავლო წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაუღებს კარებს ჩვენს აღსაზრდელებს. აქედან, ერთი, სოფელ დუზაგრამაში აზერბაიჯანულენოვანია. თუ გასულ წელს 1500 აღსაზრდელი გვყავდა, ახლა 15 სექტემბრისათვის 1500-ზე მეტი აღსაზრდელი გვეყოლება.

– როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის თითოეული დაწესებულება?

– საკმაოდ „ხელდამშვენებული“. ჩვენი გაერთიანების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს ახალი და რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები შეემატა. ასე, მაგალითად, **დიდ ჩაილურში** (მენეჯერი *თინათინ შიოშვილი*), მოგეხსენებათ აღსაზრდელთა ჯგუფი ერთობ პატარა შენობაში იყო 2012 წლიდან განთავსებული, ამიტომ, საჭიროებამ მოითხოვა გაფართოება. ეზოშივე იყო ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც მთლიანად, კაპიტალურად შეკეთდა და აი, დიდჩაილურელი პატარები საკმაოდ კომფორტულ, ფართო, კეთილმოწყობილ შენობაში დაიწყებენ სწავლას. ერთობ ლამაზი, განსხვავებული იერ-სახით შეხვდება **კაკაბეთის №1 საბავშვო ბაღი** (მენეჯერი *ლეილა ამბარდნიშვილი)* თავის აღსაზრდელებს, აქ ძველი შენობის ნაცვლად, ახალი, თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით ახალი შენობა აშენდა, რომელიც 80 აღსაზრდელზეა გათვლილი და ამასთან, ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაათვის. საბავშვო ბაღის ეზო კეთილმოეწყო განათებით, ატრაქციონებითა და გასართობი სივრცეებით. შენობაში კი დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით.

რამდენიმე საბავშვო ბაღში მოეწყო კანალიზაციის სისტემა, შეკეთდა ელექტროგაყვანილობა. გასულ სასწავლო წელს **სოფელ გომბორის საბავშვო ბაღში** (მენეჯერი *თამარ ნეკრესელაშვილი*) მოხდა ბუნებრივი აირის შეყვანა – შენობის გაზიფიცირება, რაც ახალი სასწავლო წლიდან მართლაც დიდი სიკეთეა აქ ნორმალური მუშაობისთვის – გათბობის სისტემების დამონტაჟება აქ ყველანაირი ხასიათის ზამთრის ადვილად გადატანის საშუალებას იძლევა. **სოფელ გიორგიწმინდის საბავშვო ბაღს** (მენეჯერი *ნაზი ჯამალაშვილი*) უკვე ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, შევიძინეთ ავეჯი. ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა **სოფელ პატარძეულის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას** (მენეჯერი *ეკა ახვერდაშვილი*).

მინდა სიხარული გამოვხატო და გითხრათ, რომ **სოფელ იორმუღანლოში** კომპანია „სოკარ-ჯორჯიასა“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტით შენდება საბავშვო ბაღის შენობა,რომელიც 160 ბავშვზეა გათვლილი.

– ჩვენი მოსახლეობისათვის საკმაოდ სასიხარულო ინფორმაციებია. ისიც სასიხარულოა, რომ როგორც ჩვენს ხელთარსებული ინფორმაციით ვიცით, 2023 წლის სექტემბრიდან ყველა საბავშვო ბაღში იქნება ფსიქოლოგი, რომლის ყოფნა თავად დღევანდელმა, თანამედროვე ყოფამ მოიტანა.

– დიახ, გეთანხმებით. არის ისეთი დრო, რომ აუცილებელია, ყველა საბავშვო აღზრდის დაწესებულებაში იყოს ფსიქოლოგი, რომლებიც, გეტყვით, რომ საკმაოდ კარგად ართმევენ თავს ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას. 2023 წლამდე ჩვენი გაერთიანების 16 სკოლამდელ დაწესებულებას არ ჰყავდა ფსიქოლოგი, ახლა კი ყველა დაწესებულებაშია ეს შტატი. მინდა გითხრათ, რომ გასულ წელს ჩვენი გაერთიანების ყველა აღმზრდელ-პედაგოგმა გაიარა შესაბამისი გადამზადება.

– ქ-ნო ნაილი, საინტერესოა, რამდენი აღმზრდელ-პედაგოგია ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში?

– დიახ, როგორც იცით, 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 29 მენეჯერია, 63 აღმზრდელი, 63 აღმზრდელის თანაშემწე, 29 ფსიქოლოგი, 12 ლოგოპედი, 5 მეთოდისტი, 29 მზარეული, 8 მზარეულის თანაშემწე, 29 მედდა, 28 მუსიკის მასწავლებელი(არ გვყავს მხოლოდ გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში), 37 დამლაგებელი, 30 დარაჯი, ჭურჭლის მრეცხავებად და მეეზოვეებად დასაქმებული გვყავს სოციალურად დაუცველი 79 პიროვნება.

– უახლოეს მომავალში სასიხარულოს კიდევ რას შეიძლება ველოდოთ?

– ჩვენთვის, ჩვენი გაერთიანების მუშაკებისათვის და საერთოდ, მუნიციპალიტეტისათვის სასიხარულოა ის, რომ **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაგეგმილ ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის ნუსხაში საგარეჯოს №6 საბავშვო ბაღიც** (მენეჯერი *ეკა დარისპანაშვილი*) მოხვდა, რომელიც მართლაც საჭიროებს გაფართოებას, ახალი მოთხოვნილებით შენობის აღჭურვას. მოგეხსენებათ, აღნიშნული დაწესებულება განლაგებულია ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაში, რომელშიც ამჟამად კოლეჯი ფუნქციონირებს, ამდენად, ბევრად შეზღუდულია დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება. ახალი შენობის მშენებლობა, ვფიქროთ, მალე – 2024 წელს დაიწყება.

– წარმატებებს გისურვებთ, აღსაზრდელთა სიმრავლეს და მშვიდობიან საქმიანობას!

– მადლობა!

ლელა ფანოზიშვილი – *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს-საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი:*

ცნობისათვის: *ლელა ფანოზიშვილმა საგარეჯოს II საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტზე განაგრძო. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საგარეჯოს №2 და №3 საჯარო სკოლებში სკოლის დირექტორის პოზიციაზე. 2014 წლიდან კი – ქალაქ საგარეჯოს №1 სკოლის დირექტორისა და მათემატიკის მასწავლებლის პოზიციაზე. 2023 წლის 1 თებერვლიდან საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის პოზიციაზეა, არის მათემატიკის უფროსი მასწავლებელი.*

– ქ-ნო ლელა, გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს გისურვებთ მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სფეროში. საინტერესოა, ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენი საჯარო სკოლა ელოდება მოსწავლეებს და აქედან რამდენია არაქართულენოვანი (აზებაიჯანული) და ქართულენოვანი?

– 2023 წლის 15 სექტემბრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 26-ივე საჯარო სკოლა იწყებს სწავლას სასკოლო გარემოში, მათ შორის, 4 – არაქართულ დაი 22 – ქართულენოვანი.

– რა სიახლეებით იწყებს თითოეული საჯარო სკოლა მუშაობას?

– ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში გვაქვს მთელი რიგი სიახლეები: ეს შეეხება როგორც ინფრასტრუქტურულს,ასევე სასწავლო პროცესს,

პრემიერის მიერ ინიცირებული 800 სკოლის რეაბილიტაციის ფარგლებში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაიწყო სსიპ - რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ ხაშმის*** საჯარო სკოლაში. რეაბილიტაციის მიმდინარეობის პერიოდში სსიპ რევაზ ინანიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლის მოსწავლეები სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ პატარძეულის*** საჯარო სკოლაში ისწავლიან., რაიონის მუნიციპალიტეტის დახმარებით კი მოხდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართვა. რეაბილიტაციის მოლოდინის რეჟიმშია სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***პატარა ჩაილურისა*** და სსიპ-საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***ყანდაურის საჯარო*** სკოლები. გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის ინვესტირების ფარგლებში 2024 წელს დაგეგმილია სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ მანავის,გომბორისა და უდაბნოს*** სკოლების სრული რეაბილიტაცია, ამჟამად, მიმდინარეობს ამ სკოლების ექსპერტიზისა და სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესრულება.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ სსიპ ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ თოხლიაურის*** საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა, ამჟამად მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები.

ამასთანავე, სკოლები საკუთარი ბიუჯეტითაც ახერხებენ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმართვას, რათა ახალი სასწავლო წლისთვის მოწესრიგებულ საკლასო ოთახებში განაგრძონ სწავლა მოსწავლეებმა.

– რამდენი პირველკლასელი შეაღებს პირველად პირველი კლასის კარებს?

– წლევანდელ წელს 714 პირველკლასელი მოსწავლე მიუჯდება მერხს,რომელთაც პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში კომპიუტერები გადაეცემათ. პერსონალური კომპიუტერები გადაეცემათ პირველკლასელთა დამრიგებლებსაც.

– რას იტყვით, რა ცვლილებაა მოსალოდნელი სასწავლო გეგმაში ახალი სასწავლო წლიდან?

– ცვლილებაა ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში დაწყებით საფეხურზე, II კლასში როგორც ქართულ, ასევე არაქართულ სექტორზე ***სავალდებულო საგნად ემატება ჭადრაკი.***

ქართულენოვან სკოლებში იცვლება მე-11 კლასის საათობრივი ბადე. სწავლება განხორციელდება ახალი ესგ-ის მიხედვით, გაგრძელდება პროექტები სამოქალაქო განათლებაში, ხელოვნებასა და მუსიკაში.

საპილოტე სკოლებში დაემატება დებატების კურსის არჩევით საგნად X კლასებში, რომელიც ჩვენი ***რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონ დავით სონღულაშვილის*** ინიციატივით ხორციელდება.

ასევე იგეგმება მესამე უცხო ენის საშუალო საფეხურზე სწავლება, ამით ხდება ევროპული ენების გაძლიერება სკოლებში.

ახალი სასწავლო წლიდან ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები გვექნება დაწყებით კლასებში , აგრეთვე X-XI კლასებში.

ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესს გადიან შემდეგი სკოლები:

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***მუღანლოს*** საჯარო სკოლა;

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***კაკაბეთის*** საჯარო სკოლა;

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***ბადიაურის*** საჯარო სკოლა;

სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***პატარძეულის*** საჯარო სკოლა;

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***შიბლიანის*** საჯარო სკოლა;

სსიპ ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქალაქ ***საგარეჯოს №2 საჯარო*** სკოლა;

სკოლების დირექციები პედაგოგებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულები ავტორიზაციის პროცესებში და ვფიქრობთ, რომ წარმატებით დასრულდება აღნიშნული პროცესები და ჩვენი რაიონის სკოლები გახდებიან ავტორიზებულები.

– გასულ, 2022-2023 წელს რამდენმა ახალგაზრდამ დაამთავრა საჯარო სკოლა, მათგან რამდენი იყო მედალოსანი და რა

დასასრული მე-5 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2023

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტები აქტიურ ფაზაშია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-**ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან - **ემზარ კუჭუაშვილთან** ერთად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საერთო კრებების მიხედვით, **სოფელ ფყაროსთავისა და ნინოწმინდის** მოსახლეობის მიერ გამოვლენილი პრიორიტეტული პროექტების მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 668 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ხიდები, ცხაური, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები.

გარე განათება.

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;



ახალი ინიციატივა - საგარეჯოში ე.წ წიგნის ბუდეები გამოჩნდა

ყველაფერი ერთი მარტივი გადაწყვეტილებით დაიწყო, მაშინ, როდესაც კლასგარეშე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის ინიციატივის შესახებ ერთ-ერთი გეგმური შეხვედრის დროს გაჟღერდა და მივედით იმ დასკვნამდე, რომ სკვერებსა და გასართობ სივრცეებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონოდათ სხვადასხვა ჟანრის წიგნების გაცნობის, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაზიარების. აღსანიშნავი ის ფაქტიც, რომ მაგალითად, სოფელ უდაბნოში, ეკომიგრანტებით დასახლებულ სოფელში სიმბოლურად სვანური კოშკის იმიტაციის წიგნის ბუდეები განთავსებულიყო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ადმინისტრაციული ერთეულების თავშეყრის ადგილებში (ქ. საგარეჯო, გიორგიწმინდა, იორმუღანლო, და სხვა...) ღია ბიბლიოთეკების მოწყობა მიმდინარეობს. ე. წ. წიგნის ბუდეები ამჟამად საზღვრისპირა ***სოფელ უდაბნოს*** სკვერში განთავსდა. მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა საკითხავი ლიტერატურა ადგილობრივებს პირადად გადასცა და ინიციატივის მიზნების შესახებ ესაუბრა. ***„განათლების ხელშეწყობა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამას ყველაზე კარგად ის პროექტები ადასტურებს, რასაც ბოლო ორი წლის მანძილზე ვახორციელებთ. ახალგაზრდულ სამსახურთან ერთად სიამოვნებით ვიმოგზაურეთ. საწყის ეტაპზე რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს ვესტუმრეთ. ბავშვებს, ჩვენ მიერ შერჩეული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა გადავეცით. დარწმუნებულები ვართ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, კიდევ უფრო მეტ ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი თანამედროვე ლიტერატურაზე, ზღაპრებსა თუ სახალისო თავგადასავლებზე“.-აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა საუბრისას.***

სიახლეებით, სიკეთეებად!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ ყველას!

დასასრული

შედეგებია სულ ახლახან ჩატარებულ ეროვნულ გამოცდებზე?

– 2022-2023 სასწავლო წელს სულ 66 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებული გვყავდა.

561 საბაზო კურსდამთავრებულიდან 313 უმაღლესში გააგრძელებს სწავლას.

განსაკუთრებით მაღალი შედეგები გვაქვს ეროვნულ გამოცდებში ჩვენი კურსდამთავრებულთაგან:

100%-იანი დაფინანსებით - 8 მოსწავლე; 70%-იანი - 12 მოსწავლე; 50%-იანი - 27 მოსწავლე.

– ვფიქრობთ არც პედაგოგები ხვდებიან „ხელცარიელი“ ახალ სასწავლო წელს?

– ასევე მნიშვნელოვანი მიღწევები გაქვს მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წამყვანის სტატუსი მიენიჭა --- 12 მასწავლებელს, ხოლო მენტორის სტატუსი მიენიჭა 4 პედაგოგს:

ნანა ბერძენიშვილი ---- გომბორის საჯარო სკოლა

მარეხი დიდებაშვილი ----- გომბორის საჯარო სკოლა, უჯარმის საჯარო სკოლა

თეა გურგენიძე ----- იორმუღანლოს საჯარო სკოლა

სოფიო კევლიშვილი ------ საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარდგინებით, წელს ***დამსახურებული მასწავლებლის*** სიგელი და სამკერდე ნიშანი მიენიჭა სსიპ-ქალაქ საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ მასწავლებელს, **ნანა დავითაშვილს. *ჩვენი რაიონის მერის, ბატონი* ავთანდილ**

გულიკაშვილის ინიციატივით კი მას მადლობის სიგელი და სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

გვაქვს კიდევ სასიამოვნო სიახლე ,განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი გიორგი ამილახვარის ინიციატივით, ***საქართველოში მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა,*** რომელიც ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს, აღინიშნება. ყოველწლიურად განათლების სისტემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პედაგოგებს გადაეცემათ მასწავლებლის ეროვნული პრემია - ***სამკერდე ნიშანი*** და ***ფულადი ჯილდო,*** თითოეულს ***10 000 ლარის*** ოდენობით.რაც მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას განაპირობებს

– საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგებია გასული სასწავლო წლიდან და საინტერესო ახალ, 2023-2024 სასწავლო წლის კარიბჭესთან – წარმატებებს გისურვებთ, ახალ-ახალ გამარჯვებებს!

– მადლობა!

ხელოვანი

ეს ნამუშევრები დამთვალიერებლებმა უნდა ნახონ

არიან ადამიანები, რომლებიც მართლაც გამოირჩევიან თავისი ნიჭით, ქმნიან შედევრებს, მაგრამ არ ცდილობენ ამით პოპულარობის მოხვეჭას, რადგან მათთვის შემოქმედება, მუშაობის პროცესი ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე საკუთარი თავის წარმოჩენა, თავისი ნამუშევრების თუ ნაზრევის სხვისთვის გაცნობა.

მე მქონდა ბედნიერება ბავშვობიდანვე მცნობოდა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი **რამაზ ოქრომჭედლიშვილი.** *მახსოვს მასთან პირველი სტუმრობაც. მაშინ ჯერ მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი. ნანახი მქონდა*

მისი ჩანახატების ალბომი, რამაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ჩემი გაოცება. რამაზი თურმე აქტიურ სპორტსაც მისდევდა, რგოლებზე ვარჯიშობდა (ჭერზე დაკიდული ის სავარჯიშო რგოლები ახლაც თავის ადგილზეა). მახსოვს, როგორ თავისუფლად ასრულებდა მასზე ტანვარჯიშის რთულ ილეთებს. ისიც მახსოვს, როგორ შემომთავაზა მეც მეცადა რგოლებზე რაღაცის გაკეთება, თუმცა უფროსების დახმარებით მხოლოდ ჩამოკიდება შევძელი, — საოცრად ძნელი დასამორჩილებელი აღმოჩნდა რგოლები ჩემთვის.

...კაკაბეთში, ერთ ლამაზ და ფაქიზად მოვლილ ეზოში დგას ორიგინალური სტილის სახლი, რომელიც შეხედვისთანავე გიზიდავს, რადგან სილამაზისა და სითბოს გამოხატულებაა. აქ



რამაზი თავის მეუღლესთან — ნანასთან ერთად ცხოვრობს, რომელთანაც სიყვარულით შექმნა ოჯახი და საინტერესო ცხოვრების გზაც განვლო. კედლებზე რამაზის ნახატებია. მისი საყვარელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩია — შეუძლებელია არ მოიხიბლო იტალიური რენესანსის გენიოსის არა მარტო ფერწერით, იგი ხომ არაჩვეულებრივი გამომგონებელიც გახლდათ, საფრენი აპარატის მოდელებიც ჰქონდა შექმნილი. რამაზს ლეონარდოს პორტრეტიც შეუქმნია და კედელზეც გამორჩეული ადგილი აქვს დათმობილი.

ყველა ნაწარმოებს თავისი ისტორია აქვს. თედო პაპას პორტრეტი თავისი ბუნებრიობით გამოირჩევა, საინტერესოა მამადავითის ეკლესიის ნახატი, რომელიც 60-იან წლებში შეიქმნა.

— 1960 წელს სასწავლებლად წავედი მცხეთაში, — ***გვიყვება რამაზი,*** — იქ იყო სამხატვრო-კერამიკული სკოლა, რომელიც დავამთავრე 1963 წელს. შემდეგ წამიყვანეს სამწლიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში. იქიდან დაბრუნების შემდეგ ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში. მისი დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა ინსტიტუტებში — ესთეტიკის, ტახომეტრიის... პარალელურად ვმუშაობდი კაკაბეთის საშუალო სკოლაში ხატვის მასწავლებლად...

ცხოვრება ადამიანისა ხშირად პარადოქსებისაგან შედგება, განსაკუთრებით ეს ხელოვან ადამიანებს ეხებათ. არც რამაზი აღმოჩნდა გამონაკლისი. 90-იანი წლების გაჭირვებამ გამოსავლის ძებნა დააწყებინა და შესანიშნავი ქართული ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მთავარი გმირის მსგავსად სწორედ სასაფლაოები იქცა მისი შემოქმედების ადგილად — ყველას გვიფიქრია, თუ როგორ ხატავენ ქვებზე გარდაცვლილთა პორტრეტებს და

მართლაც დიდი ოსტატობა უნდა ჰქონდეს მხატვარს, რომ ადამიანის ნაკვთები და ხასიათები გადაიტანოს ქვაზე. და როცა ასეთ საინტერესო პორტრეტს შენიშნავთ, უნდა იცოდეთ, რომ იქ მაღალპროფესიონალი ხელოვანს უმუშავია.

რაც შეეხება რამაზ ოქრომჭედლიშვილის ნახატებს, დიდი სურვილი აქვს მოაწყოს გამოფენა. ვფიქრობთ ასეთი გამოფენა საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტების, ისე ახალგაზრდა ხელოვნების მოყვარულთათვის.

ზურაბ აგულაშვილი

როცა მეხანძრე-მაშველი ხარ

„ეს ჯილდო ყველას კუთვნილებაა“

რაღაცნაირად დამორცხვებული შემოდის სამუშაო ოთახში, მაგრამ ისევ ისე უბრწყინავს თვალები და უღიმის სახე, როგორც სკოლაში გავიცანი, ჩემი შვილის პარალელურკლასელი. მეც ღიმილიანი სახით ვამხნევებ და სკამს ვთავაზობ... გამიმართლა, როგორ მინდოდა მასთან შეხვედრა, საუბარი, ავად თუ კარგად იმის გახსენება, რაც მან და მისმა თანამებრძოლებმა იმ დღეებში გადაიტანეს. საუბარი კი მოკრძალებით დაიწყო: — იცით, ჩემი თანამშრომლების, ჩვენი შემადგენლობის სახელით მადლობის გადახდა მინდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერის ბ-ნ **ავთანდილ გულიკაშვილისათვის.** *კარგად იცით, აგვისტოს ბოლო დღეებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკ* **მამუკა სეფიაშვილთან** *და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელთან* **ალექსანდრე ბულკაშვილთან** *ერთად საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურში გვეწვია და შოვის ტრაგედიის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ მაშველებს მადლობა პირადად გადაგვიხადა და გაწეული დახმარებისა და თავდადებისთვის სპეციალური ჯილდო და მადლობის სიგელი გადმოგვცა. გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენი ოთხკაციანი ჯგუფი — მეხანძრე-მაშველები — ლაშა სტეფანიშვილი, ავთანდილ პასიკაშვილი, ვანო ყველიაშვილი და მე — გათვლის უფროსი 7 დღის განმავლობაში შოვში, ტრაგედიის ადგილზე ვიმყოფებოდით. ეს ჯილდო მხოლოდ ჩვენ, ოთხ მეხანძრე-მაშველს არ გვეკუთვნის, ეს მთლიან სამსახურს ეკუთვნის, რადგან ყველა, ვინც არ უნდა წასულიყო, თითოეული ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც ჩვენ — ოთხი მეხანძრე-მაშველები, — მეუბნება ჩემი სტუმარი, რესპოდენტი* **ვანიკო ქვრივიშვილი.**

— ვანიკო, დეტალურად არ მინდა ჩაგეძიო, მოგაყოლო მთელი ის პერიოდი, მაგრამ, იცი, რა მაინტერესებს? როგორ შეიძლება ჩვეულებრივმა ადამიანმა იმხელა ტრაგედია გაისიგრძეგანოს, 7 დღე იქ დაჰყოს იმ ემოციებში და სახლში, სამსახურში დაბრუნებისას არ გამოგყვეს რაღაც, რაც მთელი სიცოცხლე არ თუ ვერ დაგავიწყდება?

— როგორ გითხრათ, არ ვიცი, ჩვენ, კახეთის მხარის 50 მეხანძრე-მაშველი ტრაგედიიდან სულ რამდენიმე საათში ტრაგედიის ადგილზე აღმოვჩნდით, ღამე იყო, ღამე ვერ გააგრძელებ მუშაობას. საშინელი კონტრასტი იყო, მწვანე ფიჭვნარი, მთები და ამ სიმწვანეში უბოროტესი ტალახის მასა, რომელმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე წუთებში ხელყო. დილით გათენდა თუ არა, მდინარე ჭანჭახის კალაპოტს გავუყევით. ეს არ იყო ცეცხლთან, წყალთან „თამაში“ ეს იყო საშინელი, 3-4 მეტრი სიმაღლის ტალახის მასა, რომელიც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ფსკერისკენ წაგვიღებდა და გვერდით მყოფებს გაუჭირდებოდათ თუნდაც ერთი „მსხვერპლის“ დახსნა. ჩვენ 5-5 მაშველი და ჯარისკაცები, თითო ჯგუფს წარმოვადგენდით. მძიმე ტექნიკის მიერ „დამუშავებულ“ ფენაში უნდა გვეძებნა ადამიანები. აქ აღარ იყო საუბარი ცოცხალ ადამიანებზე, აქ მიცვალებულების პოვნაზე ვიყავით მობილიზებული. ჩვენმა ჯგუფმა 4 ავტომობილი ვიპოვეთ და უფალს ვევედრებოდით, მიცვალებული არ ეჩვენებინა ჩვენთვის. 7 დღე დავყავით, 7 დღე ვებრძოდით ტალახს, ვწმინდეთ ჭანჭახის კალაპოტი და მთლიანი არეალი. თითოეული ნაბიჯის გადადგმა სიკვდილის კლანჭებში ჩავარდნას ნიშნავდა, ამიტომ ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს და ჩვენს თავს, გვერდითმყოფები ხიფათში არ ჩაგვეგდო. ღამეს სპორტულ დარბაზში ვათევდით. კვების პროდუქტებით მართალია, ჩვენი, კახეთის მხარის მთავარი სამმართველო გვამარაგებდა, სოფლის მოსახლეობასაც მოჰქონდა სახლში გაკეთებული საჭმელები, მაგრამ ვის ჰქონდა ჭამის სურვილი?! წვენებით გვამარაგებდნენ და ვგრძნობდით, მხოლოდ ენერგეტიკული სასმელი თუ გვიხსნიდა ყელს და გვაძლევდა ენერგიას. ვერ აგიწერთ იმ კოშმარულ 7 დღე-ღამეს. სად არ ვყოფილვართ, ხანძარში, ავტოავარიისას დაშავებულებიც გამოგვიყვანია, თუშეთისა და თიანეთის ტყე-ღრეში დაკარგული ტურისტებიც გვიძებნია, მაგრამ ასეთი განცდა არასოდეს გვქონია — საზარელი იყო იქაურობა — სიკვდილის მახე. თითოეულ ჩვენგანს ფსიქოლოგის კონსულტაციები დაგვჭირდა... თვალებიდან არ გამოგვდის ჭირისუფალთა მომლოდინე სახეები — იქნებ ცოცხალი გამოჩენილიყო მათი ოჯახის წევრი...

ყველა შემთხვევა, რაც მინახავს, რა თქმა უნდა, არის საშინელი და როცა იცი, შენი დახმარება, მათი სიცოცხლის გადარჩენა შენს საზრიანობაზეა დამოკიდებული, გიმძაფრდება ინტუიციაც და ძალებიც. მაშინ ვერ გრძნობ საშიშროებას, მაგრამ მერე ფიქრდები, გახსენდება დიდხანს, მაგრამ ვაუკაცობა ისაა, არ მოდუნდე, არ შეგეშინდეს და უკეთესზე იფიქრო, თორემ... მახსენდება ერთი ეპიზოდი. გასული წლის „გიორგობას“ წყაროსთავთან სამი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს, ადგილზე მისულებს ავტომაგისტრალზე 12 ადამიანი მანქანიდან გადმოვარდნილი დაგვხვდა — შეჯახების ძალა დიდი იყო, მხოლოდ მე-13 აღმოვაჩინეთ ერთ-ერთი მანქანის სალონში. დაფიქრდით, რა განცდა გვექნებოდა, როცა 13 დაშავებულიდან 8 ბავშვი იყო, ერთ მანქანაში მთელი ოჯახი იყო... ყველა კლინიკაში იქნა გადაყვანილი, მხოლოდ ორი ადამიანი ერთი ოჯახიდან — ბებო და პაპა კლინიკაში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალნენ... მთავარი ისაა, რომ გამოძახებისას, შემთხვევის ადგილზე მისულებმა ჯერ უნდა გავამხნევოთ განსაცდელში მყოფი და მერე მის ფიზიკურ გადარჩენაზე მოვიკრიბოთ ძალა. ეს ადვილი არ არის, როცა წამებში წყდება მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მაგრამ ჩვენი სამსახურის თითოეული მუშაკი სწორედ ასე ვართ მობილიზებული — თამამად გეტყვით, ყოველთვის, თუნდაც იმ დღეს სამსახურში არ ვიყოთ — გასაჭირში მყოფს სრულყოფილი დახმარება უნდა გავუწიოთ.

და მინდა ისევ ჩემი მოსვლის მიზეზს დავუბრუნდე — მადლობა მინდა გადავუხადო ბ-ნ ავთანდილ გულიკაშვილს იმ ყურადღების, სითბოს და დაფასებისათვის, რაც მან 29 აგვისტოს ჩვენს მიმართ გამოიჩინა. მართალია, ეს ჩვენი მოვალეობა, ეს ჩვენი პროფესიული ვალდებულება იყო, მაგრამ როცა მუნიციპალიტეტის მერი ასე აფასებს ჩვენს მუშაობას, რომელსაც მამაცობასა და თავდადებაში გვითვლის, სიმართლე გითხრათ, ეს თბილი ტალღა, მადლიერების ეს გრძნობა რაღაცნაირად შემოდის იმ გულში და სულში, სადაც ტრაგედიის ფრაგმენტებია აღბეჭდილი, ძალას გვაძლევს, რომ ფსიქოლოგიურად სძლიო შენს თავს, დადებითი მუხტით აივსო და იფიქრო, რომ მე ვარ იმ პოსტზე, რომელიც გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანებს ეიმედებათ, ხოდა, ჩემი თანამებრძოლების ჩვენი სამსახურის თანამშრომლების სახელით მადლობა იმ მუხტისა და ენერგიისათვის. ეს ჯილდო, ეს მადლობა, როგორც ზემოთაც გითხარით, მხოლოდ ჩვენ ოთხს არ გვეკუთვნის, ის მთელი ჩვენი სამსახურისაა.

სპორტი

ფეხბურთი

როცა ეროვნული ლიგა 1 ასე ახლოსაა

ფეხბურთის გარეჯელმა ფანებმა კარგად იციან იმ ამბიციების შესახებ, რაც გარეკახურ კლუბ „გარეჯი-1960“-ის ხელმძღვანელობას (*დირექტორი* **ლაზარე დათუნაშვილი**) გააჩნია – საქართველოს ჩემპიონატზე თამაში, თანაც პირველ ლიგაში, თორემ უკვე მესამე წელია ჩვენებური ლიგა-2-ის ერთ-ერთი ლიდერები არიან. ის კი არა, თვლიან, რომ საკმაოდ დიდხანს დარჩნენ მეორე ლიგაში და დროა ქვეყნის წამყვან კლუბებს შეერკინონ და იქ დაამტკიცონ თავიანთი შესაძლებლობები.

ახლა, როცა ეს წერილი იწერება, ეროვნულ ლიგაში სანაკრებო პაუზაა და უპრიანი იქნება გადავხედოთ სატურნირო ცხრილს. ეროვნული ლიგა-2-ის ცხრილის სათავეში სწორედ გარეჯელები არიან და ეს გასაკვირიც არაა, რადგანაც ისინი ჩემპიონატის დაწყებისთანავე არავის უთმობენ ლიდერის პოზიციას. ამჟამად „გარეჯი“ 24 თამაშიდან 54 ქულით პირველ ადგილზეა და სამი ქულით უსწრებს ფოთის „კოლხეთი-1913“-ს, თანაც „მდევრებთან“ შედარებით, ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ზაფხულის არდადეგების შემდეგ გარეჯი სეზონის განახლებას ახალი მთავარი მწვრთნელით შეხვდა – ახალგაზრდა გიორგი ონიანის ნაცვლად მოვიდა გამოცდილი დენის ხომუტოვი, მართალია, იმ დროისათვისაც სატურნირო ცხრილში გარეჯი გამოკვეთილი ლიდერი იყო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ცოტა არ იყოს სარისკო გადაწყვეტილება მიიღო, ამაზე რესპუბლიკურ პრესაშიც დაიწერა, მაგრამ ცვლილებამ გაამართლა – გარეჯმა, როგორც ჩანს იპოვა თავისი თამაში და ბოლო სამი ტური ზედიზედ იგებს. დაამარცხა უშუალო კონკურენტი „სპაერი“ 3:2, მარტვილის „მერანი“ 4:1 და ხობის „კოლხეთი“ 4:0.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად ჩემპიონატზე სანაკრებო პაუზაა და 17 სექტემბერს განახლდება, როცა „გარეჯი“ საკუთარ მოედანზე „ვიტ-ჯორჯიას“ მიიღებს, შემდეგ კი გასვლაზე აქვს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მეორე ადგილზე მყოფ „კოლხეთი-1913“-თან ფოთში და იმ შეხვედრაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტური დარჩა და ეს არა მარტო ოსტატობის, ნერვების ბრძოლაცაა.

ვუსურვოთ „გარეჯი-1960“-ს წარმატებული ფინიში. გვჯერა, მომავალი წლიდან გარეკახელებს ქვეყნის უძლიერეს ლიგაში გვეყოლება წარმომადგენელი და არც იქ შეირცხვენს თავს – ღირსეულად იასპარეზებს ჩვენი ლეგენდარული კლუბების გვერდით.

ზურაბ აბულაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ლუკა მარტიაშვილი – ბავშვთა მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებული

როგორც ცნობილია, არგენტინის დედაქალაქ რიო დე ჟანეიროში აგვისტოში ჩატარდა ბავშვთა მსოფლიო ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობებში და რა თქმა უნდა, ჭიდაობის უძველეს ოლიმპიურ სახეობაში –ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ფესტივალზე ამ ჭიდაობაში საქართველოდან სულ ოთხი მონაწილე იყო დაშვებული და მათ შორის კახეთის რეგიონიდან ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელ **თამაზ ყიფიანის** გამორჩეული მოსწავლე **ლუკა მარტიაშვილი**. ჩვენებურმა მოჭიდავემ ეს შესაძლებლობა ბუდაპეშტში, 7-8-9 ივლისს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებით მოიპოვა, სადაც ჩემპიონობა მოიპოვა 75 კგ წონით კატეგორიაში.

როგორც ბუდაპეშტში, რიო დე ჟანეიროშიც ლუკამ 75 კგ წონით კატეგორიაში იჭიდავა, სადაც გამართული ოთხივე შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა, ფინალურ ორთაბრძოლაში კი დიდი უპირატესობით 11:3 დაამარცხა ოქროს მედლისა და ჩემპიონის ტიტულისათვის მებრძოლი ჩინელი მეტოქე. ლუკამ ასევე წარმატებით იასპარეზა შეჯიბრების შემდეგ გამართულ გუნდურ შეჯიბრებაში (ბრაზილია-სამხრეთ ამერიკა-საქართველო-სომხეთი), სადაც მოუხდა 85 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობა და მიუხედავად ამისა, შეძლო თავისზე 10 კილოგრამით მძიმე ბრაზილიელი მეტოქის აშკარა უპირატესობით დამარცხება.

როგორც ამ სასიხარულო ინფორმაციის მოწოდების შემდეგ **თამაზ ყიფიანმა** აღნიშნა, აიპ-ის ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით უახლოეს ხანებში აპირებს საგარეჯოში ვასილ ლაფაჩიშვილის სახელობის ტურნირის ჩატარებას, რომელშიც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებთან ერთად იასპარეზებენ მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც. გამორიცხული არაა, რომ ლუკა მარტიაშვილს კვლავ მოუწიოს შეხვედრა თავის ძველ ქართველ მეტოქესთან – ქვარცხავასთან, რომელიც წელს დამარცხებული ჰყავს. საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებში. ისე, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გულშემატკივრებს მეტად საინტერესო და მიმზიდველი სანახაობა ელით ამ ასპარეზობებზე.. ჩვენი მხრით კი ისღა დაგვრჩენია, რომ მომავალი წარმატებები ვუსურვოთ ბრაზილიაში თავნასახელებ ჩვენებურ მოჭიდავეს და იმედს ვიტოვებთ, რომ იგი კვლავაც წარმატებით გაამართლებს თავისი მწვრთნელისა და საგარეჯოელი გულშემატკივრების იმედებს.

მკლავჭიდი

გარეჯელ მკლავჭიდელთა 8 მედალი მსოფლიო ჩემპიონატიდან

24 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით ყაზახეთის ქალაქ ალმა-ატაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში ჭაბუკების, ახალგაზრდების და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის. ასპარეზობაში მსოფლიოს მკლავჭიდელებთან პაექრობაში ჩაბმული იყვნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელ **მამუკა ბილანიშვილის** მკლავჭიდის სექციის სპორტსმენები, რომელთაც ამ ასპარეზობამდე ევროპის ჩემპიონატიდან საგარეჯოში 8, მათ შორის 5 ოქროს მედალი ჩამოიტანეს. მამუკა ბილანიშვილის მკლავჭიდელებმა არც ალმა-ატაში შეირცხვინეს თავი და იმდენივე მედლის მოპოვება შეძლეს, რამდენიც ევროპის პირველობაზე.

პირველი მედლები ჩვენი მკლავჭიდელებიდან **ბაჩო დიღმელაშვილმა** მოიპოვა, რომელიც 15 წლამდე ჭაბუკებში ასპარეზობდა +70 კგ წონით კატეგორიაში და შეძლო ვერცხლის მედლის მოპოვება როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მკლავში.

18 წლამდე ჭაბუკებში 70 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა მკლავის გადაწევაში მესამე საპრიზო ადგილისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა **გიორგი დიღმელაშვილი.** ამავე ასაკში 75 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა **გიორგი ღვინაშვილმა.**

23 წლამდე ახალგაზრდებში 90 კგ წონაში **ოთარ საგინაშვილი** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. სამაგიეროდ, +90 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო მისი ძმა **ბაჩუკი საგინაშვილი**. მან ამ წონაში ოქროს მედალი ორივე (მარცხენა-მარჯვენა) მკლავში დაიმსახურა.

ბაჩო საგინაშვილი ასევე მონაწილეობდა უფროს ასაკში 100კგ წონით კატეგორიაში, სადაც მარცხენა ხელში შეძლო მესამე ადგილზე გასვლა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება

ჭიდაობა სამბო

ასპარეზობდნენ გარეჯელი სამბისტები არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო მემორიალურ ტურნირზე

სექტემბრის პირველ შაბათ-კვირას თბილისში, ძიუდოს ეროვნული აკადემიის ბაზაზე ჩატარდა ჭიდაობა სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო მემორიალური ტურნირი უფროსი ასაკის სამბისტებს შორის, როგორც პირად, ისე გუნდურ პირველობაში. ასპარეზობაში ქართველ სპორტსმენებს მეტოქეობას უწევდნენ რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის და შუა აზიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ცნობილი მანაველი მოჭიდავე **ირაკლი კუპატაძე** და საგარეჯოელი ახალგაზრდა მძინეწონოსანი **სანდრო სონიშვილი,** რომელთაც არაერთხელ უსახელებიათ თავი მსგავსი და უფრო დიდი დონის შეხვედრებში.



რაც შეეხება მათ ჭიდაობას ტურნირზე. **ირაკლი კუპატაძემ,** რომელიც 58 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, წარმატებული სტარტი აიღო და დაუმარცხებლად მიაღწია ფინალურ ორთაბრძოლამდე. ფინალში კი მისი მეტოქე აღმოჩნდა რუსეთის წარმომადგენელი, რომელთანაც დათმო შეხვედრა და *მეორე ადგილზე* აღმოჩნდა. არადა, მას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა თავისი მეტოქის დასამარცხებლად, რაც მან გუნდურ პირველობაშიც დაამტკიცა, როცა იგივე მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა. მემორიალური ტურნირი *ბრინჯაოს მედლით* დაასრულა **სანდრო სონიშვილმა** (მწვრთნელი **ნუკრი გაგნიაშვილი,** წარმომადგენელი **თემურ კურდღელაშვილი.**

გივი დაგანიშვილი

აქ პოეზიის საღამოც გაიმართა

3 სექტემბერს საგარეჯოს ცენტრში არსებულ Irma's Art space-ში კიდევ ერთი საინტერესო საღამო გაიმართა, ფილოლოგებმა **ლია გოდერძიშვილმა** და **თეა გოგრიჭიანმა** „პოეზიის თბილი საღამო აჩუქეს მოწვეულ სტუმრებს. მათ მსმენელს თავიათი შემოქმედებიდან ***ნარკვევები, ჩანახატები, ლექსები*** გააცნეს. საღამოს ალამაზებდა ლია გოდერძიშვილისა და გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მგალობლების: ეკა გოგიშვილის, ნათია მარიდაშვილის, გულიკო ჯამალაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები და საგალობლები. როგორც ქალბატონმა ლია გოდერძიშვილმა აღნიშნა: – ლექსებს, ჩანახატებს, ნარკვევებს ვწერდი ჩემთვის, თითქმის არავის ვაკითხებდი, მაგრამ ვეღარ დაიტია უფლის სიყვარული ჩანახატებმა და ეს გრძნობა დღეს, თქვენს წინაშე გადმოიღვარა"-ო. მართლაც ასე იყო, მსმენელი სულგანაბული და ზოგჯერ თვალებში მოწოლილი ცრემლით უსმენდა ავტორს, რომელმაც თავისი ნაწერებით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ამქვეყნად თითოეულ ჩვენგანს უფალი ჰფარავს, რომ მისი სიყვარული ჩვენდამი უდიდესია და შეუდარებელი. საღამოს დასასრულს საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალს"-ის სამედიცინო ცენტრის სამკურნალო მიმართულების ხელმძღვანელმა, ექიმმა **ლეილა ოტიაშვილმა,** საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **მანანა ბილაშვილმა,** საგარეჯოს კულტურის სახლის მსახიობმა **ნათელა დიღველაშვილმა,** საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ცისმარი ტოკეშაშვილმა,** საგარეჯოს საპატიო მოქალაქემ **ვლადიმერ მათიაშვილმა** ისაუბრეს ლია გოდერძიშვილის შემოქმედებაზე და მადლობა გადაუხადეს ასეთი შესანიშნავი საღამოს ჩუქებისათვის.

Irma's Art space-ის გახსნის დღიდავე აქ გამოფენილი იყო ლია გოდერძიშვილის ნახატები, რომლებმაც დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო. ლიას თქმით, არასოდეს უცდია ხატწერაში „ხელის გამოცდა", მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთხელ ისე მოუნდა წმინდა ანას ხატის დაწერა, საერთოდაც რომ არ ჰქონდა ნანახი, ხოდა დაწერა და როცა ხატმწერის მიერ დაწერილი წმიდა ანას ხატი აჩუქეს, აღმოჩნდა, რომ მის მიერ დაწერილ ხატს მსგავსება ჰქონდა და ძალიან დიდიც.





გთავაზობთ ლია გოდერძიშვილის შემოქმედებიდან ჩანახატებს

მე როდესაც დავიბადე, თეთრი ნისლი ჩამოწვა მთებზე. დედამ უდიდესი სიყვარულით ჩამიკრა გულში, უფალმა ზეციდან გადმოიხედა და ჩაილაპარაკა – აი, კიდევ ერთი ჩემი შვილი მოევლინა ქვეყანას. მოგცემ ჯვარს, ღირსეულად ატარე. ბევრჯერ გაგიჭირდება მისი ტარება, დაგამძიმებს ჯვარი, მაგრამ არასოდეს დაგავიწყდეს, რომ მე ყოველთვის შენთან ვიქნები, არასოდეს მიგატოვებ. მას მერე მივუყვები უფლისაკენ მიმავალ გზას, მიმაქვს ჩემი ჯვარი. ბევრჯერ დამიმძიმდა, ბევრჯერ წამაქცია ჯვრის

სიმძიმემ. ეკლის გვირგვინმა ბევრჯერ მადინა სისხლი და სიმწრის ცრემლები, მაგრამ უფალო, არასოდეს გადამიხვევია შენსკენ მომავალი გზისთვის. ყოველთვის ვგრძნობდი შენს შეწევნას. მოვდივარ შენსკენ უფალო, ჩემს საყვარელ მამასთან ვისწრაფვი. მომაქვს დაღლილი სხეული და ძვლები, მტკივანი გული, რომელიც შენი სიყვარულითაა სავსე. უდიდეს სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ, რომელიც ზეციური სამყაროდან იფრქვევა, სიწმინდეს, სისუფთავეს, რომელიც ყველა წმინდანებს აქვთ. დაუღალავი ლოცვის ძალას და მადლს, რომელსაც ზეციური სასუფევლისკენ მივყავართ, რომელიც ცისარტყელაზე და მზის სხივზე გვატარებს, თეთრ ღრუბლებზე გადაგვაფრენს, მიგვიყვანს უფალთან, რომელიც ისეთივე სიყვარულით ჩამიკრავს გულში, როგორც დედამ ჩამიხუტა ახალშობილი. ამ სიხარულად ხომ ყველანაირი ტანჯვის გადატანა ღირს. ამ წყალობას ქვეყნად ვერაფერი შეედრება. გმადლობთ, უფალო, რომ მიბოძე უკვდავი სული, ჯვარი და ეკლიანი გზა, რომელსაც მივუყვები. მიყვარხარ უფალო, მარადიულად.

2016 წლის 25/VI

* * *

მზე მიგზავნის სხივებს, ცისფერი ცა თეთრ ქათქათა ღრუბლებს, ლურჯი ზღვა – ტალღებს, დედა ღვთისმშობელი – სითბოს და ალერსს. გახვეული ვარ მზის სხივებში, როგორც აბლაბუდის ქსელში. მზე მეფერება თავისი თბილი, ალერსიანი და მოელვარე სხივებით. ვდგავარ დედამიწაზე, შევყურებ ცისფერ ცას უძიროს, უნაპიროს, ქათქათა ღრუბლებს, მზის სხივებს და შევღაღადებ უფალს – შენთან მინდა, უფალო. მზეო ნათელო, ოქროსფერი სხივებით დამიწანი კიბე ზეცაში მიმავალი. ამოვყვები მას და მივალ უფალთან. მივეახლები მის სიწმინდეს, დიდებულებას, ვუგალობებ და ვადიდებ მის ძალმოსილებას. სამყაროს შემოქმედო, შეისმინე ჩემი ლოცვა-ვედრება, ნუ მომაკლებ შენს ალერსიან, თბილ და ნათელ სხივებს, შენს წყალობას და მფარველობას. ახალშობილი იბადება დედიშობილა, სუფთა და უცოდველი, ცარიელი ხელებით, სუფთა გულით. ასეთივე ცარიელი ხელებით მიდის უფალთან გარდაცვალების შემდეგ. მხოლოდ სუფთა გულით, სულით და ცოდვისაგან განწმენდილნი ერთეულები თუ წარდგებიან უფლის წინაშე. შეგვაძლებინე უფალო, რომ როგორი უცოდველები და სუფთებიც დავიბადეთ, ასეთებივე წარვსდგეთ შენს წინაშე სამსჯავროზე. უფალო, ნუ მომაკლებ შენს წყალობას, მზეო, ნუ მომაკლებ შენს თბილ სხივებს, ცანი – თეთრ ღრუბლებს, ლურჯო ზღვანო – ტალღებს, დედა ღვთისმშობელი სითბოს და ალერსს. მზე მიგზავნის სხივებს.

2015 წლის 12/II

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდ-ენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე